ხელშეკრულება N140
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

3 სექტემბერი, 2018 წელი

შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ერთი მხრივ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მერის ზვიადი მხეიძის სახით (შემდგომში "დამკვეთი") და მეორეს მხრივ შპს Smart Choice (ს/კ 404944245) მისი დირექტორის ვასილ ჯაფარიძის სახით (პ/ნ 01008040938) სახით (შემდგომში "შემსრულებელი"), ვდებთ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

"შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხოლო "დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს "შემსრულებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

2. შესასრულებელი სამუშაო

2.1. შემსრულებელი, უზრუნველყოფს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ელექტრონული ტაბელის ერთჯერად ტექნიკურ მომსახურებას. CPV კოდი **50311400** - კალკულატორებისა და სააღრიცხვო მანქანების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება.
2.2 მომსახურება გულისხმობს: ნებისმიერი ხარვეზის თუ გაუმართაობის არსებობის შემთხვევაში **10** სამუშაო დღის განმავლობაში მის აღმოფხვრას ან| და შეკეთებას.
2.2.1 ნებისმიერი სახის კონსულტაციის| ტექნიკური დახმარების მიღებას სამუშაო დღეებში 10 ან-18-მდე პერიოდში კომპანია Smart Choice ტელეფონის ნომერზე (032) 219 5 219, საფოსტო მისამართზე info@smartchoice.ge.
2.2.2 ნებისმიერი სახის კონსულტაციის მიღებას პროგრამული უზრუნველყოფა „Ammy admin" ან|და Teamviewer-ის მეშვეობით სამუშაო დღეებში 10-ან 18-მდე პერიოდში.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. "შემსრულებელი" ვალდებულია:
- ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დროულად და ხარისხიანად შეასრულოს სამუშაოები.
- დაიცვას "დამკვეთის" კონფიდენციალური (კომერციული, საფინანსო და სხვა) საიდუმლოება.
3.2. "შემსრულებელი" უფლებამოსილია:
- დამოუკიდებლად მოაწყოს თავისი სამუშაო პროცესის ორგანიზაცება და უხელმძღვანელოს მას, განსაზღვროს ხელშეკრულების საგნის შესრულებისთვის საჭირო მეთოდები, განსახორციელებელი ოპერაციების რიგითობა და სხვა.
3.3. "დამკვეთი" უფლებამოსილია:
- მიიღოს "შემსრულებლისაგან" მომსახურება ხელშეკრულების პირობების მიხედვით. თუ შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურება ან მისი ნაწილი ნაკლის მქონეა (უხარისხოა) ან არ შესრულდა შესაბამის ვადაში, დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება და/ან მისი დამატებით შესრულება შემსრულებლის ხარჯით.
3.4. "დამკვეთი" ვალდებულია:

შემსყიდველი | **მიმწოდებელი**

- დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი მოწყობილობები
- დროულად გადაუხადოს "შემსრულებელს" ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საფასური ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული მომსახურების საფასური შეადგენს ერთჯერადად 70 (სამოცდაათი) ლარს.
4.2 ანგარიშსწორება ხორციელდება სამუშაოს შესრულებიდან, ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5(ხუთ) სამუშაო დღეში.

5. პასუხისმგებლობა

5.1. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება "შემსრულებლის" მიერ სამუშაოების არაჯეროვან ან უხარისხო შესრულებას, "შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას დროულად გამოასწოროს ასეთი ხარვეზი.
5.3. ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების ვადები

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისას, თუ ეს გამოწვეულია გადაულახავი ძალის შედეგად, კერძოდ წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით, ქმედებებით (ფორს-მაჟორული გარემოებები).
7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა ასეთ გარემოებათა შედეგების აღმოსაფხვრელად და დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებამდე.

8. დამატებითი პირობები

8.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.
8.2. უთანხმოებები, რომელთა გადაწყვეტა არ მოხერხდება ურთიერთშეთანხმების გზით, გადაწყდება სასამართლოს მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.3. ყველა დანარჩენ საკითხზე, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
8.4. ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით ძალას კარგავს მხარეთა შორის არსებული ყველა ადრინდელი შეთანხმება, მოლაპარაკება და მიმოწერა ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით.
8.5. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები რჩება ძალაში.

შემსყიდველი | **მიმწოდებელი**

8.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება "დამკვეთთან", მეორე კი "შემსრულებელთან".
8.7. ყველა ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში ხდება წერილობით, ორივე მხარის ხელმოწერით.

9. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

ქ.ამბროლაური. ბრატისლავა რაჭის ქ.11

სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი

TRESGE22

ა/ა GE24NB0330100200165022

ს/კ №222938490

მიმწოდებელი:

შპს „Smart Choice"მის.: თბილისი,

მიტროფანე ლაღიძის ქ. 6

ოფისი: 032 219 5 219

გაყიდვები:

ს/კ: 404944245

Email: info@smartchoice.ge

Site: Smartchoice.ge

FB:

Facebook.com/SmartChoiceElecntronics

თიბისი ბანკი

ბანკის კოდი TBCBGE22

ა.ა **GE 85 TB 7948436020100003**

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ამბროლაური

3 სექტემბერი, 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ელექტრონული ტაბელის ერთჯერადი ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შპს „Smart Choice“-ს დირექტორის ვასილ ჯაფარიძის მიმართ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ---------- /ზვიადი მხეიძე/

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ---------- /ბელა აბაიშვილი/

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელი ---------- /ფატიმა კერესელიძე/

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისი ---------- /ია სუთიძე/

სატენდერო კომისიის დამხმარე ---------- /შორენა ფრუიძე/

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელი ---------- /ავთანდილ გოგსაძე/